

წინასწარი ვერსია

სახელმწიფო მაგდა პაპიძის წინააღმდეგ

საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომ

(12.06.2016- 04.07.2016)

მოსამართლე: ეკატერინე გაბრიჩიძე

პროკურორები: ელენე ჩხეიძე, დავით ნეფარიძე, ლია ჩადუნელი

ადვოკატები: ნათია აბზიანიძე, ირმა ბერიძე, მარინა ფხალაძე

კანონმდებლობა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109.3-ე მუხლი:

„ განზრახ მკვლელობა:

- ა) ორი ან მეტი პირისა;
 - ბ) განსაკუთრებული სისასტიკით;
 - გ) ანგარებით ან შეკვეთით;
 - დ) მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით;
 - ე) არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-ე–114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა);
 - ვ) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით
- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.“

წინასწარი ვერსია

მაგდა პაპიძის საქმე, უკვე რამდენიმე თვეა, საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. ბრალდებულის მოთხოვნით, საქმე განიხილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრი სწავლობს ნაფიც მსაჯულთა რეფორმის პროცესს საქართველოში; აღნიშნულ საქმეზე მონიტორინგის განხორციელებაც ცენტრის კვლევითი პროექტის შემადგენელი ნაწილია. ცენტრის დამკვირვებელი განუწყვეტლივ ესწრებოდა პროცესს და წინასწარ შედგენილი ინსტრუქციის მიხედვით, მოხსენებისთვის მასალას აგროვებდა. ეს დოკუმენტი კვლევის წინასწარი ვერსიაა, რომელიც, საბოლოოდ, კვლევის მასალისთვის დამუშავდება. ამ სახით, დოკუმენტის გამოქვეყნება მიზნად ისახავს, ჩვენი მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოებრივი განხილვებისთვის დამატებითი რესურსის შექმნას.

ცენტრი, მონიტორინგის განხორციელებისთვის, დიდ მადლობას უხდის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს - თათია ქვრივიშვილს.

მოცემული ანგარიშის მიზანი არ არის ფაქტების ხელმეორედ გამოკვლევა და ანალიზი, არამედ სასამართლო პროცესის სრულად გადმოცემა, რათა დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, გაეცნონ საქმის განხილვის მიმდინარეობას.

მასალის გამოყენებისას, გთხოვთ, მიუთითოთ კვლევის ავტორი ორგანიზაცია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრი.

წინასწარი ვერსია

ზოგადი მიმოხილვა

ბრალდებულის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოთხოვნამდე, პროკურატურამ გაასაჯაროვა მტკიცებულებების დიდი ნაწილი და საკუთარი პოზიცია გააცნო საზოგადოებას.

ბრალდების მხარემ წარმოადგინა ვერსია და მისი მხარდამჭერი მტკიცებულებები. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ვერსიის დიდი ნაწილი დახურულ სხდომაზე იყო გამოკვლეული, ამიტომ შეუძლებელია ვიმსჯელოთ, რამდენად მყარად იყო დასაბუთებული მისი ვერსია არსებულ მატერიალურ მტკიცებულებებზე, თუ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით.

ბრალდებული მხარს უჭერდა პროცესის საჯაროობას, თუმცა, პროცესის ბოლო ეტაპზე, საკუთარი ჩვენების მიცემისას, უარი თქვა საჯაროობაზე და სხდომის დახურვა მოითხოვა.

ნაფიცი მსაჯულები აქტიურად იყვნენ ჩართულები და ხშირად სვამდნენ კითხვებს მტკიცებულებების გამოკვლევის დროს. ბრალდების მხარემ არაერთხელ სცადა პროცესზე ვარაუდის და დაუსაბუთებელი ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც ყველა შემთხვევაში არ გაუპროტესტებია დაცვის მხარეს. მონიტორის მიერ აღრიცხულია დაცვის მხრიდან პროტესტის 20-მდე შემთხვევა და ბრალდების მხრიდან პროტესტის 15-მდე შემთხვევა.

საერთო ჯამში, პროცესი წარიმართა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და სასამართლომ უზრუნველყო მხარეთა თანაბარი წარმომადგენლობა და შეჯიბრებითობა.

1. კანონმდებლობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის შესახებ:

1.1 ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის უფლება საქართველოს კონსტიტუციითაა დაცული. 2004 წლის ცვლილებების თანახმად:

„მუხლი 82.5. საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.“

1.2 ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დეტალურადაა აღწერილი 2009 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. კანონის თანახმად:

წინასწარი ვერსია

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 ძირითადი და 2 სათადარგო მსაჯულისგან.
- ნაფიცი მსაჯული სარგებლობს სოციალური დაცვის პროგრამით, აუნაზღაურდება მონაწილეობის ხარჯები და უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ანაზღაურება.
- ნაფიცი მსაჯულია საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა. წლის მანძილზე, მხოლოდ ერთხელ იბარებენ მოქალაქეს მსაჯულად.
- პროცესისთვის ნაფიც მსაჯულებს არჩევენ ბრალდების და დაცვის მხარეები.
- ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებას იღებენ უშუალოდ პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე.
- ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლო დაცულია და მისი გამჟღავნება დასჯადია კანონით.
- ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი არ მოითხოვს დასაბუთებას და საბოლოოა.

1.3 ნაფიც მსაჯულთა ხელშეუხებლობა დაცულია 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და დასჯადია ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელს უშლის მსაჯულთა მიერ საკუთარი ფუნქციის ჯეროვნად განხორციელებას.

1.4 ნაფიც მსაჯულთა შერჩევა ხდება ამომრჩეველთა საერთო სიიდან. მოსამართლე, შემთხვევითი შერჩევის გზით, წინასწარ დადგენილი ბიჯით, იბარებს 150 მოქალაქეს. მოქალაქეებს წინასწარ ეგზავნებათ კითხვარი, რომელსაც პასუხი უნდა გასცენ სასამართლოში გამოცხადებამდე. გამოცხადებულ კანდიდატებს ესაუბრებიან მხარეები. მძიმე საქმეზე მხარეებს 10 დაუსაბუთებელი აცილების უფლება აქვთ. ამ დროს, ისინი უბრალოდ გამორიცხავენ მათთვის არასასურველ პიროვნებას მსაჯულთა სიიდან. დანარჩენი კანდიდატების შემთხვევაში, მხარეები იყენებენ დასაბუთებული აცილების პრინციპს და გამორიცხავენ იმგვარ კანდიდატებს, რომელთა მიუკერძოებლობაშიც ეჭვი ეპარებათ. კანდიდატებს უფლება აქვთ, თავადაც სთხოვონ სასამართლოს საქმიდან აცილება, თუ საამისო მიზეზი გააჩნიათ. ასეთი მიზეზი ინდივიდუალურად ფასდება მოსამართლის მიერ. მოქალაქეთა გარკვეულ კატეგორიას საერთოდ ეკრძალება ნაფიც მსაჯულად ყოფნა. ასეთი კანდიდატები ავტომატურად არიან გამორიცხულნი კანდიდატთა სიიდან. 2017 წლის 1 იანვრიდან მსაჯულობის უფლება არ ექნებამოქალაქეს, თუ ის:

ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია;

წინასწარი ვერსია

- ბ) ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;
- გ) სასულიერო პირია;
- დ) აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა;
- ე) ბრალდებულია;
- ვ) ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირია;
- ზ) ნასამართლევა.

2. მტკიცებულებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესში

2.1 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მტკიცებულებათა რამდენიმე სახეს იცნობს.

გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, რაც გულისხმობს პირის დამნაშავედ ცნობას მხოლოდ:

- აშკარა,
- სანდო,
- უტყუარი და
- ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებების საფუძველზე.

სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევა მიმდინარეობს მხარეთა აქტიური მონაწილეობით, რა დროსაც, ბრალდებისა და დაცვის მხარეს აქვთ თანაბარი შესაძლებლობები - არ დაუშვან ისეთი მტკიცებულების გამოკვლევა, რომელიც არის:

- ბუნდოვანი,
- ემყარება მოწმის ვარაუდს,
- არ არის კავშირში მტკიცების საგანთან ან/და
- მოწმე ვერ უთითებს ინფორმაციის პირველად წყაროს.

2.2 მხარეებს შეუძლიათ გააპროტესტონ:

- „ირიბი“ მტკიცებულებები: ადასტურებს პირდაპირი მტკიცებულების სისწორეს.

წინასწარი ვერსია

- „ვარაუდი“: მხარე ან მოწმე ცდილობენ საკუთარი შეხედულებით ახსნან მოვლენა.
- „ჭორები“: მხარე ან მოწმე ცდილობენ მოიყვანონ ინფორმაცია, წყაროს მითითების გარეშე.

2.3 მხარეთა აქტიური მონაწილეობა აუცილებელია, რათა მსაჯულებმა გადაწყვეტილება მიიღონ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, სამართლიანობის, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის, ღირსების პატივისცემისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით. დაცვის და ბრალდების მხარეები, პროცესის მიმდინარეობისას, თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

3. ფაქტობრივი გარემოებები პაპიდის საქმეში

2015 წლის 20 დეკემბერს სახელმწიფომ დაიწყო გამოძიება მოქ. ომარ ქაფიაშვილისა და თორნიკე ქაფიაშვილის მკვლელობის ფაქტზე. მკვლელობაში ბრალი წარედგინა მოქ. მაგდა პაპიდეს (ომარ ქაფიაშვილის მეუღლე, თორნიკე ქაფიაშვილის დედა), რომელიც 20 დეკემბერს დააკავეს, ბრალდებულის სტატუსით.

მთავარმა პროკურატურამ 19 თებერვალს გაავრცელა გამოძიებით მოპოვებული მასალა (განცხადება იხ. აქ: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=871).

2016 წლის აპრილისთვის აღნიშნული თემა უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მედიაში. ამ საკითხს, მხარეების წარმომადგენელთა მონაწილეობით, არაერთი გადაცემა მიემდგვნა და პოპულარული გახდა პროკურატურის მიერ გავრცელებული, გამოძიების სტადიაზე მოპოვებული მტკიცებულებები.

ამგვარ ვითარებაში, ბრალდებულმა აირჩია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომლისთვისაც მზადება დაიწყო მასიდან და ნაფიც მსაჯულთა შერჩევა დასრულდა 10 ივნისს. პირველი სხდომა 12 ივნისს გაიმართა.

4. ნაფიცი მსაჯულები

მხარეთა მონაწილეობით შერჩეული 12 ნაფიცი მსაჯულიდან 4 იყო ქალი (ერთი - დაახლოებით 30 წლამდე, ორი - 45 წლამდე და ერთი - 55 წლამდე); 8 - მამაკაცი (ოთხი მსაჯული - 30-35 წლამდე, დანარჩენი ოთხი - 40-55 წლამდე). სათადარიგო

წინასწარი ვერსია

მსაჯულები: ორი ქალი (30-45 წლამდე) და ერთი მამაკაცი (45-55 წლამდე). მთავარ მსაჯულად, შემთხვევითი წილისყრით, შეირჩა მამაკაცი (40 – 55 წლამდე). სათადარიგო მსაჯულებს ვერდიქტის დამტკიცებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

5. სასამართლო განხილვა

სასამართლო განხილვისას, მხარეები წარმოთქვამენ შესავალ სიტყვას, დაკითხავენ მოწმეებსა და ექსპერტებს, დაათვალიერებენ მატერიალურ მტკიცებულებებს და ნაფიც მსაჯულებს მიმართავენ შემაჯამებელი სიტყვით.

5.1 შესავალი სიტყვა

პროცესის პირველ დღეს, მხარეებმა შესავალი სიტყვები წარმოადგინეს. შესავალი სიტყვა ბრალდების მხარემ დაიწყო. ბრალდებამ აქცენტი გააკეთა ფოტომასალაზე, აღწერა შემთხვევის ადგილი: ბინა, სადარბაზო, ეზო, მკვლელობის იარაღი, ბრალდებულის ხარჯთაღრიცხვის რვეულში აღმოჩენილი ფურცელი, სადაც მკვლელობის გეგმა იყო გაწერილი; ისაუბრა ბრალდებულის ცხოვრების წესზე, მის ურთიერთობაზე მეგობარ მამაკაცთან და მკვლელობის შესაძლო მოტივზე.

დაცვის მხარის პოზიცია ეყრდნობოდა ბრალდების მიერ წარმოდგენილ ფოტომასალას. ბრალდებული მიუთითებდა არასრულფასოვნად ჩატარებულ გამოძიებასა და მტკიცებულების გაყალბებაზე, უარყოფდა დანაშაულის ჩადენის დროს დანაშაულის ადგილზე ყოფნის ფაქტს და არ შეხებია მეგობარ მამაკაცთან დაკავშირებულ ეპიზოდს. ცდილობდა, მაგალითები მოეყვანა დედა-შვილური სიყვარულის დასადასტურებლად.

პირველ დღეს, პროცესი ამით დასრულდა. საერთო ხანგრძლივობა 2 საათამდე იყო.

5.2 მტკიცებულებათა გამოკვლევა

მტკიცებულებათა გამოკვლევა დაიწყო 13 ივნისს.

მტკიცებულებათა გამოკვლევისას, ერთმანეთისგან გამიჯნული გვექნება: მოწმეთა ჩვენებები, მატერიალური მტკიცებულებები და ექსპერტიზის დასკვნები.

წინასწარი ვერსია

5.2.1 მოწმეთა ჩვენებები

მოწმეთა ნაწილი, პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით, დახურულ სხდომაზე დაიკითხა. მიუხედავად იმისა, რომ დახურული სხდომის შინაარსი მხარეებმა ნაწილობრივ გაასაჯაროვეს, მოხსენებაში თავს შევიკავებთ აღნიშნული ინფორმაციის მოყვანისგან და დავეყრდნობით მხოლოდ საჯარო სხდომაზე მოპოვებულ მასალას.

5.2.1.1 დახურულ სხდომაზე დაკითხული მოწმეები:

- ოთარ ბერძენიშვილი (მეგობარი მამაკაცი);
- ნატალია ფირცხალავა (ექიმ-გინეკოლოგი);
- მაგდა პაპიძე (ბრალდებული);

5.2.1.2 საჯარო სხდომაზე დაკითხული მოწმეები:

ოთარ ბ.(მეგობარი მამაკაცი), დარეჯან მ.(დედა), ალა მ.(მეზობელი), ირმა მ.(მეზობელი), შორენა პ.(მეზობელი), თინათინ პ.(მეზობელი), მანანა თ.(მეზობელი), გიორგი თ.(მეზობელი), ნათია გ.(მეზობელი), მზია ლ.(მეზობელი), ნანა ტ.(მეზობელი), ია ბ.(მეზობელი), დოდო მ.(მეზობელი), მზია ლ.(მეზობელი), მურთაზ ... (ომარ ქაფიაშვილის თანამშრომელი), ლევან წ., ვასილ ... , მარიამ მ., შორენა ... (მეზობელი), იოსებ ჩ.(მეზობელი), მალხაზ ქ.(გარდაცვლილის ძმა), მერაბ მ. (ომარ ქაფიაშვილის თანამშრომელი), ვახტაგ ძ. (ომარ ქაფიაშვილის თანამშრომელი), დავით ლ.(ომარ ქაფიაშვილის თანამშრომელი), ... ჯ.(ომარ ქაფიაშვილის თანამშრომელი), ლანა პ.(ბრალდებულის და), მირზა გ.(ომარ ქაფიაშვილის თანამშრომელი), ზვიად კ.(ომარ ქაფიაშვილის თანამშრომელი), პაატა ნ. (დეტექტივ გამომძიებელი), ნუგზარ ნ. (გამომძიებელი), გვანცა . . . (ექსპერტ-კრიმინალისტი), ელენე ჭ.(სამედიცინო ექსპერტი), მედეა ჭ.(ექსპერტი), იანა მ.(ექსპერტი), მანუჩარ ჩ., ბესიკ ნ.(ექსპერტი), ქეთევან გ.(ექსპერტი), თამარ შ.(ექსპერტი), მაკა ვ.(ხელნაწერთა ექსპერტი).

მოწმეთა ჩვენებები (მეზობლები და თანამშრომლები), მაგდა პაპიძისა და მისი მეუღლის ურთიერთობის აღწერისას, ნაწილობრივ ერთმანეთის ურთიერთსაწინააღმდეგო იყო: მეზობლების ერთი ნაწილი მიუთითებდა მეუღლეთა

წინასწარი ვერსია

კარგ ურთიერთობაზე, ნაწილი კი ასახელებდა კონფლიქტის შემთხვევებს (ვარაუდი). ერთ-ერთი მოწმის ჩვენების მიხედვით (მურთაზ . . .), ომარ ქაფიაშვილი შესაძლოა ხვდებოდა, რომ მის მეუღლეს მეგობარი მამაკაცი ჰყავდა, რის გამოც გულჩათხრობილიც გახდა (ვარაუდი).

მეზობლები უარყოფენ ხმაურის ან ჩხუბის ფაქტს 19 დეკემბრის საღამოს. უმრავლესობამ ფაქტის შესახებ გაიგო 20 დეკემბრის ღამის საათებში ან დილით. ერთ-ერთი მოწმე (იოსებ ჩ.) მიუთითებს, რომ როდესაც ის ომარ ქაფიაშვილის გვამის სანახავად ჩავიდა, ამ დროს, მოვიდა მაგდა პაპიძე მანქანით, რომელშიც გარდაცვლილი ბავშვი ესვენა. აღნიშნული ჩვენება განსხვავდება მის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებისგან, სადაც ის ამბობდა, რომ მისი ეზოში ჩასვლის დროისთვის, მაგდა პაპიძე ეზოში იდგა (ჩვენების სანდოობის საკითხი).

გარდაცვლილის ძმამ და დედამ, დაკითხვისას, თქვეს, რომ აღამოჩინეს სისხლის კვალი - ოთახში მდგარი „დივანის“ სათავსო ყუთში, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ახადეს. გარდაცვლილის ძმამ აღნიშნა, რომ მან, დერეფანში მდგომ წიგნის კარადაზე, მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, იპოვა დღიური და რომ აღნიშნულ დღიურს ეძებდა ბრალდებულის და. მოწმემ ვერ მიუთითა ზუსტი დღე, თუ როდის იპოვა და როდის გადასცა დღიური გამოძიებას.

ბრალდებულის დის ჩვენებაში ნათქვამია, რომ „დივანი“ იმავე დღეს ნახეს, და იქ სისხლის კვალი არ იყო. ნახეს სათავსოც, ვინაიდან „დივანის“ ოთახიდან გასატანად, სიმძიმის გამო, აუცილებელი გახდა სათავსოს დაცლა და სისხლის კვალი არც იქ შეუნიშნავთ. ბრალდებულის დამ უარყო გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება და ასევე უარყო მეზობლების მიერ ნათქვამი, რომ თითქოს, მკვლელობის დღეს, ხმამაღლა სდებდა ბრალს საკუთარ დას - მეუღლისა და შვილის მკვლელობაში (ჩვენების სანდოობის საკითხი).

მოწმეთა ნაწილი ადასტურებდა მოწმენდილი სისხლის კვალის არსებობას ოთახში (ნანა ტ.), თუმცა კედელზე სისხლის კვალის არსებობას ყველა ვერ იხსენებდა. მეზობლების ჩვენების საფუძველზე, ირკვევა, რომ 20 დეკემბერს მეზობელმა მამაკაცებმა ავეჯისგან სრულად დაცალეს დაახლოებით 20 კვ.მ ოთახი (დარეჯან მ.). გამოძიებამ ოთახი არ დალუქა, რადგან, ექსპერტების მიერ დათვალიერების შემდეგ, მიცვალებულები იქ დაასვენეს.

წინასწარი ვერსია

დაცვის მხარე სისხლის წარმოშობას ომარ ქაფიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით ხსნიდა. ბრალდებული მიუთითებდა, რომ გარდაცვლილს ახასიათებდა ცხვირიდან სისხლდენა. დაცვის მხარემ გამოიკვლია ომარ ქაფიაშვილის სტაციონარში მიყვანის დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ ის მიყვანილი იყო ცხვირიდან სისხლდენის გამო, 2013:05:12-ში. (უტყუარი მტკიცებულებები).

თანამშრომლების დაკითხვისას, მხარეები აქცენტს აკეთებდნენ ომარ ქაფიაშვილის პიროვნულ თვისებებსა და ჩვევებზე. ხშირად დასმულ კითხვებს შორის იყო ალკოჰოლიზმთან და აგრესიულობასთან დაკავშირებული შეკითხვები. თანამშრომლებმა უარყვეს ორივე მტკიცება, თითქოს გარდაცვლილი აგრესიული იყო ან მოიხმარდა ალკოჰოლს, თუმცა ბრალდებულის დამ მიუთითა, რომ, სიმთვრალის დროს, გარდაცვლილი კარგავდა ქცევის კონტროლის უნარს და ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს, ხმაურის გამო, მეზობლის ძალსაც კი გამოჭრა ყელი. ასევე, მოწმეები ადასტურებდნენ ავარიის ორ ფაქტს, რომელიც გარდაცვლილს მოუვიდა, თუმცა მიზეზად სახელდებოდა სახიფათო გზა და არა გარდაცვლილის სიმთვრალე.

5.2.2 ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დასკვნები

გამომძიებელმა პაატა ნ-მ აღწერა შემთხვევის ადგილი, რომელსაც ის 7 საათის განმავლობაში იკვლევდა. მისი ჩვენებიდან ვიგებთ, რომ სისხლის კვალი აღმოჩნდა სადარბაზოში, ბინაში და მკვლელობის იარაღზე, ასევე მანქანის საბურავის ერთ ნაწილზე და მანქანის კარნიზზე. დიდი რაოდენობით სისხლის კვალი აღმოჩნდა შემთხვევის ადგილის სიახლოვეს მდგომ სანაგვე ურნაში გადაყრილ თეთრეულსა და სხვა ნივთებზე. გამომძიებლის ჩვენების თანახმად, ოთახი ახალი დალაგებული იყო, მოსაწმენდი ჩვარი ჯერაც სველი იყო და ლოგინზე გადაფარებული თეთრეული ახალი გამოცვლილი ჩანდა.

გამომძიებელ ნუგზარ ნ.-ს ჩვენების თანახმად, საგანგებო სამსახურში ჯერ დაფიქსირდა ომარ ქაფიაშვილის გარდაცვალების ფაქტი - 03:13სთ-ზე, 12 წუთის შემდეგ კი თორნიკე ქაფიაშვილის გარდაცვალების ფაქტი - 03:25სთ-ზე, ვინაიდან ბავშვის გვამი მოგვიანებით იპოვნეს.

შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს ექსპერტ-კრიმინალისტებმაც. ექსპერტ გვანცა. . .
- ს ჩვენების თანახმად, მან დაათვალიერა ოთახი, სადაც სპეციალრი ხსნარის

წინასწარი ვერსია

გამოყენებით, მრავლობითი სისხლის კვალი აღმოაჩინა ავეჯზე, იატაკსა და კარის ზღურბლზე. სისხლის კვალი აღმოჩნდა ასევე დივანის სახელურზე. დივანის სათავსო არ გამოკვლეულა, რადგან ექსპერტმა არც კი იცოდა, ჰქონდა თუ არა აღნიშნულ დივანს სათავსო. ხსნარით აღმოჩენილი სისხლის კვალი, უმეტეს შემთხვევაში, იყო კაშკაშა ფერის, რაც მიუთითებს, რომ მისი წარმოშობის დრო არაუმეტეს ერთი კვირისაა. ოთახი გაწმენდილი იყო, ამიტომ მეტი სიზუსტით კვალის გამოკვლევა შეუძლებელი გახდა. ხილული სისხლის კვალი აღმოაჩინეს ოთახში არსებული მაგიდის ქვეშ.

ექსპერტმა ელენე ჭ.-მ გამოიკვლია გარდაცვლილთა გვამები. გვამს, ყურის მიდამოში, ნაფლეთოვანი ჭრილობა აღენიშნებოდა, ასევე, გულ-მკერდის უკანა მხარეს, მრავლობითი წყვეტილი სახის ნაჭდევი ჭრილობა ჰქონდა. აღნიშნული დაზიანებები, გულ-მკერდის უკანა მხარეს, აქვს სიცოცხლის დროიდან სიკვდილის დადგომამდე უმოკლეს დროში. მიცვალებულს ჰქონდა სიკვდილის შედგომი დაზიანებები, კონკრეტულად - მარცხენა წვივის ქვედა მესამედის ზედაპირზე, ასევე მარცხენა მტევნის ზედაპირზე. გვამის ოთახის ტემპერატურაზე გაშეშება იწყება გვიან, რაც დამოკიდებულია ორგანიზმში არსებულ ცხიმოვან ქსოვილზე, გარემო ფაქტორებზე, სხეულის მდგომარეობაზე და ა.შ. ომარ ქაფიაშვილის გვამის გამოკვლევა დაიწყო 08:25 საათზე და ამ დროისთვის, ის გარდაცვლილი იყო არანაკლებ 6 საათისა და არაუმეტეს 14 საათისა, ხოლო თორნიკე ქაფიაშვილის გვამის გამოკვლევა დაიწყო 10:00 საათზე, რა დროისთვისაც ის გარდაცვლილი იყო არანაკლებ 6 საათისა და არაუმეტეს 14 საათისა. თორნიკე ქაფიაშვილის სიკვდილის მიზეზად დასახელდა ასფიქსიური სიკვდილი, ცხვირისა და პირის სასუნთქი გზების გადაკეტვა. ბავშვის გვამს აღენიშნებოდა სისხლჩაქცევები თვალის გარშემო, ცხვირ-ტუჩის მიდამოში, ასევე ქვედა და ზედა ტუჩის ლორწოვანზე. მსგავსი სისხლჩაქცევები აღმოჩნდა ასევე ფილტვებსა და მკერდუკანა ჯირკვალზე. სისხლჩაქცევები და ხაზულა ნაჭდევი აღმოჩნდა მარცხენა ყურის უკანა მხარეზე, რაც შეიძლება გამოწვეულ იყოს მკვრივი ბლაგვი საგნის შეხებით, ასეთად კი შეიძლება ფრჩხილიც ჩაითვალოს. თუკი ზეწოლა მოხდა, შესაძლებელია, ქვედა და ზედა ტუჩის ლორწოვანზე სისხლჩაქცევები გამოიწვიოს კბილების ზემოქმედებამ. ომარ ქაფიაშვილს მოტეხილობები არ აღენიშნებოდა. მისი სიმაღლე, ექსპერტიზის მიერ გაზომვისას, იყო 177 სანტიმეტრი, მასა - 69 კილოგრამი.

წინასწარი ვერსია

ექსპერტ მედეა ჭ-ს ჩვენების თანახმად, გარდაცვლილებს გარდაცვალებამდე არ ჰქონიათ მიღებული რაიმე სახის ალოპოლური ან ნარკოტიკული ნივთიერება, საძილე საშუალებები ან მომწამლავი ნივთიერებები.

სხდომაზე გამოქვეყნდა კომისიური ექსპერტიზის დასკვნაც, რომლის თანახმადაც: ომარ ქაფიაშვილს აღენიშნება ნაფლეთოვანი ჭრილობა, რომელმაც გამოიწვია მისი სიკვდილი და რომელიც გამოწვეულია მკვრივი, ბლაგვი საგნის არაერთჯერადი დარტყმით. არაა გამორიცხული, რომ ეს მკვრივი ბლაგვი საგანი იყოს ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ურო, ხოლო თორიკე ქაფიაშვილის სიკვდილი გამოწვეულია ასფიქსიით. (უტყუარი მტკიცებულებები)

ექსპერტმა იანა მ-მ დაადასტურა, რომ, დნმ-ის ანალიზის შედეგად, სანაგვე ურნაში გადაყრილ ტანსაცმელზე, ოთახის მრავალ ადგილზე, უროსა და მანქანაში აღმოჩენილი ბიოლოგიური მასალა ეკუთვნოდა ომარ ქაფიაშვილს, თორნიკე ქაფიაშვილსა და მაგდა პაპიძეს. აღმოჩენილია სხვა ბიოლოგიური მასალაც, თუმცა ის არ ეკუთვნოდა ბრალდებულის მეგობარ მამაკაცს. (უტყუარი მტკიცებულება)

ექსპერტმა მაკა ვ-მ გამოიკვლია ბრალდებულის დღიურში არსებული ჩანაწერების ავტორის ვინაობა. ექსპერტის აზრით, აღმოჩენილ დღიურში ჩანაწერი ეკუთვნის ბრალდებულს. ბრალდებულის ხელითაა დაწერილი ტექსტი, სადაც მკვლელობის მომზადებაა აღწერილი. ბრალდებულის ხელითვეა გაკეთებული მეგობარი მამაკაცის შესახებ სასიყვარულო ჩანაწერები. ექსპერტის აზრით, მისი პოზიცია დადასტურებულია კალიგრაფიული ექსპერტიზით, რომელიც უტყუარი მტკიცებულებაა.

დაცვის მხარემ გამოიკვლია მაგდა პაპიძის სამედიცინო დასკვნები, რომელიც ბრალდების მხარემ უდავოდ ცნო, თუმცა დაცვის მხარემ მაინც საჭიროდ ჩათვალა მისი გამოკვლევა. დოკუმენტებს შორის იყო: მამოლოგის, გინეკოლოგის, დერმატოლოგის დასკვნები და ორსულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ბრალდებულის ჩვენების თანახმად, პოლიციამ მასზე განახორციელა ფიზიკური ზეწოლა, რის შედეგადაც მას შეუწყდა ორსულობა.

წინასწარი ვერსია

5.2.3 ნივთიერი მტკიცებულებები

შპალერი, პლინტუსი, ჩაიდანი, რომელიც სათავსოდან იქნა ამოღებული (თუმცა, ბრალდებულის განმარტებით, ეს მისი ჩაიდანი არ იყო), თეთრეული, ჭურჭელი, ნაგვის ურნიდან ამოღებული სისხლიანი ნივთები, დივნის სარჩულის ამონაჭერი, დივნის ღრუბლის ამონაჭერი, დივანის ზედაპირის ამონაჭერი, ბავშვის ტანსაცმელი, ოთარ ბერძენიშვილისგან ამოღებული ოქროს ნივთები, გარდაცვლილის მობილური ტელეფონი, საფულე, სამსახურის იარაღი, კომპიუტერის ვიდეოთვალი, ურო, დათვალიერებული მანქანა, სადარბაზოსა და ოთახის ფოტოსურათები, დღიური, ექსპერტის დასკვნა, რომელიც ადასტურებს პაპიძისთვის ფიზიკური დაზიანების მიყენების ფაქტს, რაც, ბრალდებულს ჩვენების თანახმად, პოლიციის განყოფილებაში გადაყვანისას მოხდა.

6. ვერდიქტი

4 ივლისს ნაფიცმა მსაჯულებმა გამოიტანეს ვერდიქტი, თათბირის პირველ, 3 საათიან ვადაში. მსაჯულებმა ერთხმად ცნეს ბრალდებული დამნაშავედ, ყველა დანაშაულში. აღნიშნული საქმე რიგით მეორეა, როცა მსაჯულთა მიერ ვერდიქტი ერთხმადაა მიღებული. ბრალდებულმა უარი განაცხადა სასჯელის დანიშვნაში მსაჯულთა მონაწილეობაზე. 6 ივნისს სასამართლომ უვადო პატიმრობა შეუფარდა ბრალდებულს.